

# თეატრი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Л Е Л О

Organ Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзев

№ 9 (1179) სამშაბათი, 21 იანვარი, 1958 წ. გამოცემის მე-14 წელი. ფასი 30 კაპ.

## ტურიზმი — მილიონთა სპორტი

დღემდე ჩვენი რესპუბლიკის რუკას. ზღვის ნაპირი, სწრაფი, ზოგან მდორე მდინარეები, მთები და მთარეხილები, ტბები, დაბურული ტყეები, ალპური ზონა და ფირნის ველები... ერთი სიტყვით ისეთი მრავალფეროვანი ბუნება, რომ ტურისტებს შეუძლიათ შეადგინონ თითქმის ყველა კატეგორიის მარშრუტი, იმოგზაურონ წელიწადის ყოველ დროს. ამას გარდა საქართველო ხომ მოფენილია მდიდარი ისტორიული ძეგლებით, რომელთა ნახვა და შესწავლა კიდევ უფრო საინტერესოა და მიმზღველს ხდის მოგზაურობას.

ტურიზმი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი და საინტერესო სახეობაა. ლაშქრობებში, გადასვლებში მონაწილეობს თითქმის ყველა ასაკის ადამანი. გასულ წელს რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩატარდა: მაგალითად, მესამე კატეგორიის სიძნელის სამთო-სათხილამურო და სახაიდარო ლაშქრობები, ველიგადარბენა, ლაშქრობა-შეჯიბრება წიწამურში, რომელიც მიმდინარეობს დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის ხსოვნას. ამას დაუმატოთ ის მრავალი ლაშქრობები, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონების კომპიტივების მიერ იქნა ჩატარებული და თითქმის ისეთი სურათი შეიქმნება, რომ რესპუბლიკაში ტურიზმის დარგში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ არა. ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში, სადაც მისი განვითარების უდიდესი საშუალებები არსებობს, სათანადო სიმაღლეზე არ დგას.

ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ოპერატიულ ტურიზმზე. იგი თავის გზით ვითარდება, მას აქვს საკუთარ დანიშნულებათა ქსელი, რომელიც პასუხისმგებელია ყველაფერზე. ჩვენ გვინტერესებს სპორტული, შემოქმედებითი ტურიზმი, სადაც ტურისტები ავტონომიურად კი არ დასერიანობენ და წინასწარ მომზადებულ ბინებში კი არ ათევენ ღამეს, არამედ მრავალ სიძნელეთა გადალახვით სწრაფად წინასწარ შედგენილ მარშრუტებს. გზას მიიკვლევენ ბაიბარებით, აღგენენ მარშრუტის აღწერილობას. რესპუბლიკაში ასეთი ტურიზმის მრავალი ენთუზიასტია. გასულ წელს ხუთმა მათგანმა სპორტის ოსტატობაც მოიპოვა.

დასამალი არაფერია, თუ გადავხედავთ რაიონულ, საქალაქო და საოლქო სპორტულ კალენდრებს და ვრწმუნდებით, რომ მათში ტურისტული ღონისძიებები ძალიან ძუნწად და შეტანილი და ყოველთვის მათ ატარებენ თუ ფული დარჩათ. ზემოთ ჩვენ გასულ წელს ჩატარებული ტურისტული ღონისძიებები ჩამოვთვალეთ და კარგი შთაბეჭდილება შეგვექმნა, მაგრამ რაც მართალია, მართალია — გასული სეზონი ტურიზმში ყველაზე უფრო იყო შეიძლება ეს მრავალი დამაჯერებელი ობიექტური მიზეზით აიხსნას. მაგრამ ხვობს მიზეზებს თავი დავანებოთ, რადგან ტურიზმი ეს მილიონთა სპორტია და მხოლოდ ამიტომ ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს მას ნაკლები ყურადღება მივაქციოთ.

მიმდინარე წელს განზრახულია ზამთრის სამთო-სათხილამურო ლაშქრობის მოწყობა სვანეთში. განზრახულია საქართველოს საზღვრებს გარეთ ვასვლა (ბაიკალი — მდინარე ანგარაზე სახაიდარო ლაშქრობა) და სხვა ღონისძიებები, მაგრამ ეს არ კმარა მხოლოდ იმიტომ, რომ მათში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ათეული სპორტსმენი. ჩვენ კი ვვინდა, რაც შეიძლება მეტი მასობრივი ღონისძიებები, ჩვენ გვინდა, რომ ყველა ძირითადი კოლექტივის სამუშაო გეგმაში საპატიო ადგილი ეკავოს ტურიზმს, რომ ყოველ დასვენების დღეს ეწყობოდეს საინტერესო ლაშქრობები ღამის თევითაც კი. ეს მაშინ იქნება მიღწეული თუ საქალაქო და რესპუბლიკური სექციები უფრო ოპერატიულად იმუშავენ. თვითდინებაზე არ მიუშვებენ საქმეს და გაითვალისწინებენ ტურიზმის მოყვარულთა სამართლიან მოთხოვნებს.


აქვე უნდა აღვნიშნოთ მეტად მნიშვნელოვანი დეტალი, ურომლისოდანაც ტურიზმი მკარგავს თავის ერთ-ერთ ძირითად მნიშვნელობას. ტურიზმის რესპუბლიკურ სექციაში პერიფერიებიდან მრავალი ცნობა შემოსული ლაშქრობების ჩატარებას შესახებ. მაგრამ თითქმის ყველას თან არ ახლავს მარშრუტის აღწერა. ეს ტურისტების ერთი რომ ვთქვათ, ნიშნავს მარშრუტის ზერეღედ, დაუწევებლად გავლას. მიმდინარე წელს, როგორც კი გაზაფხულდება გუნდები გავლენ სალაშქროდ, ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ მარშრუტის აღწერის აუცილებლობა. ამასთან აღწერა უნდა იყოს დეტალური. ფოტოსურათებისა და ძნელად გასასვლელი ადგილების სქემების თანდართვით.

შეიძლება ვინმემ თქვას: იანვარში რა დროს ტურისტული ლაშქრობები იქნება. არა. ტურიზმის სექციებმა მზადება აქედანვე უნდა დაიწყოთ, მოიმარაგონ საჭურველი, შეადგინონ, დააზუსტონ მარშრუტები და როდესაც გაზაფხულდება გაემურონ ლაშქრობებში. ამ დღეებში ჩვენ გამოვაქვეყნებთ სათანადო ნორმებს. ამ დოკუმენტებში მოცემული პირობების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს მათი მუშაობა.

ტურიზმი მასობრივი სპორტია. იგი ჩვენგან მეტ დახმარებას და გულსხმინებებს მოითხოვს.

### ორი უაღრესი თათბირი

ამას წინათ ბუღალტრული გაიშართა უნგრეთისა და იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელთა მოლაპარაკება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1958 წლიდან ამ ორი ქვეყნის გუნდებს შორის ყოველწლიურად გაიმართება პირველი, მეორე, ახალგაზრდული და ქაბუტა ნაკრები გუნდების მატჩები. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორ-ორჯერ საქუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე. 20 აპრილს უნგრეთში ითამაშებენ პირველი და ქაბუტა კოლექტივები, ხოლო იუგოსლავიაში მეორე და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. საპასუხო მატჩები გაიმართება 5 ოქტომბერს.



რიგა, XXV საქვეშრომ ჩემპიონატი. ზედა სურათზე: საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონი მ. ტალი მორიგი სვლის მოქმედების დროს. ქვევით — შეჯიბრების საერთო ხედი.

ფოტო ე. ფაღვევისა.

ჩემპიონატის ანგარიში იხ. მე-3 გვ.



## მოთხილამურეთა სიმღერა

მუსიკა ზ. ცაბაძის

ტექსტი პ. გრუზინსკისა

აიმ მოაზრდა შენი კვლია თუ ნაირმალი ლურჯთვალა ქალო, დედას გაფიცებ, ამ უღრან ტყეში შევლის ნუკრით არ დამეშალო. მინამდერი: თოვს, თოვლია თუ თოლიას შენი ფერი უთხოვია, ასე თეთრად, ასე თეთრად არასოდეს უთოვია.

აიმ მოაზრდა, თოვლიანზედა, ერთად წავიდეთ, ლურჯთვალა ქალო, როგორ მიუვრებ გაჯავრებული, მოვკვდე თუ თავი არ შეგაჯვარო.



## ჯ. კუკის უოგოგაგოგა

გასულ წელს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა გამოჩენილი ამერიკელი სპორტული ჟურნალისტი ჯ. კუკი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში 3.000-ზე მეტი ფოტოსურათი გადაიღო.

7 იანვარს ნიუ-იორკში საზღვარგარეთის პრესის კლუბში გაიხსნა ფოტო გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ჯ. კუკის მიერ გადაღებული კადრები, რომლებიც ასახავენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას საბჭოთა კავშირში.

გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ნიუ-იორკის ჟურნალისტთა და სპორტსმენთა წრეში.

## რადიოკომუნიკაციების განვითარება

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიოგადამცემთა და ტელეხელმძღვანელების მთავარმა სამმართველომ რადიოგადამცემთა საერთაშორისო ფედერაციასთან (იორ) ერთად ამ დღეებში მოაწყო მსოფლიოს რადიოკომენტატორთა გამოძახება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, გერმანიისა და ჩინეთის სპორტულმა რადიოკომენტატორებმა, რომლებსაც მიეცათ კითხვები: როგორია 1957 წლის შედეგები? რა შემთხვევა იყო მათთვის ამ სეზონში უფრო სამხსოვრო? როგორია 1958 წლის პერსპექტივები ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში? და სხვ.

იორის სპორტული რადიოკომენტატორ სექციამ გადაწყვიტა ასეთი გამოძახებანი გადაეკეთებინათ ტელეფონით და წელიწადში ორჯერ ჩატაროს. შემდეგი ასეთი გამოძახება მიეძღვნება ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს, მძლეოსანთა ევროპის პირველობას, რომის ოლიმპიური თამაშების სამზადისს, რითაც მსოფლიოს რადიო მსმენელებს საშუალება ექნებათ მოისმინონ სხვადასხვა ქვეყნის რადიოკომენტატორთა აზრი, ვარაუდობენ, რომ მომავალ რადიოგამოძახებაში საგრძობლად გაიზრდება მონაწილე ქვეყნების რიცხვი.



# ოთხი რესპუბლიკური რეკორდი

კვირას, 19 იანვარს, „განთავის“ სპორტულ დარბაზში მამლინარობა და თბილისის ახალგაზრდა ძალისათვის 1958 წლის კონკურსის სიმძიმეების აწევამ. უმჯობეს წონაში პირველი ადგილი დაიკავა ზ. ყიფშიძემ („ბურვესტნიკი“), რომლის შედეგია 265 კგ. ქვეშეშეუქ წონაში ტოლი არ ჰყავდა გ. კამალოვს („კოლმეურნი“), რომელმაც სამუდამო დააგროვა 285 კგ.

მსუბუქი წონის ძალსინებმა შ. კაცობაშვილმა („კოლმეურნი“) და ე. კარიკიანი („ლინამო“) სამკიდის ჯამში ერთნაირი შედეგი — 320 კგ. აჩვენეს. ვინაიდან შ. კაცობაშვილი თავის მოწინააღმდეგე მსუბუქი ალმონდა, პირველობაც მის მიეკუთვნა. ქვეშეშეუქ წონის ძალსინამა ვ. რაღმაშვილმა („განთავის“) ალტაცებში მოიკვანა მსუბუქებში. მან ჯერ აქამა 125 კგ. ხოლო შემდეგ ატაცში აჩვენა 117,5 კგ. 0,5 კგ-ით გაუმჯობესა რვა წლის წინათ დამყარებული საქართველოს რეკორდი. ასევე წარმატებით დაამთავრა მან თავისი გამოსვლა ავტორაშიც, სადაც დაძლია 150 კგ და 3 კგ-ით გაუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი. მისი შედეგი ამჟამად 390 კგ რესპუბლიკური ახალი რეკორდია. ვ. რაღმაშვილმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

საშუალო წონაში წარმატება ხვდა წილად „ბურვესტნიკელ“ კ. ბაზაძეს, რომელმაც აიტაცა 117,5 კგ და 0,5 კგ-ით გაუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც შიგვც ეკუთვნოდა.

ქვეშეშეუქ წონაში პირველი ადგილი დაიკავებდა ვ. ცხელაშვილმა („ბურვესტნიკი“) — 365 კგ. მძიმე წონაში მხოლოდ ერთი ძალსინამა ა. ხვედელიძე („კოლმეურნი“) გამოდიოდა, რომელიც ჩათვალა ვერ მოხვდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ფიზკულტურის ინატივების ძალისათვის კარგი მომზადება, რომელთა წარმომადგენლებმა ზ. ყიფშიძემ (უმჯობესი წონა), კ. ბაზაძემ (საშუალო წონა) და ვ. ცხელაშვილმა (ქვეშეშეუქ წონა) შესანიშნავი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. კლდია).

მ. გოგლიძე



ახალი ტანვარჯიშული დარბაზი თბილისში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სპორტული რეკორდები

გადაღებული პარტიების დაძაბვების დღეს, რომელიც IV ტურის შემდეგ მოეწყო, ორი დამარცხება განიცადა ტოლუმში. იგი გაუთამამებლად დანებდა გელერს, ხოლო პოლგავერის წინააღმდეგ ვერ გახდა რამეს და პარტიაც წააგო.

გურგენიძე ბანიკთან პარტიში სათანადო მომზადების შემდეგ დაეშურა ლაზაროში უკიდურესად, რის შემდეგ უკრაინა ჩემპიონმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. პირველი დამარცხება განიცადა კოტოვმა, რომელიც დანებდა ავერბახს. ფურმანმა გამოაყენა უპირატესობა

ლატვიის ჩემპიონ გაპლისთან და გამარჯვა. ამო იყო ტალის შეუპოვარი წინააღმდეგობა ბოლესლავსისთან პარტიში. ბოლესლავსკიმ გამაგლევი პაიების ამოძრავებით აიღო ტალი დანებებულიყო.

ბრონშტეინის, პეტროსიანისა და სუეტინის ავადმყოფობის გამო მათი გადაღებული პარტიები პოლგავერისთან, ტაშანოვთან და კოტოვთან არ გათამაშებულა.

ამრიგად, IV ტურის შემდეგ წინ არიან გროსმანისტერი ე. გელერი — 3,5 ქულა, გროსმანისტერი ი. ბოლესლავსკი — 3 ქულა, გროსმანისტერი მ. ტალი, ბ. სპასკი და ი. ავერბახი — 2,5 ქულა თვითიულს. ქვემოთ მოგვყავს ტურნირში გათამაშებული ტოლუმ-ტაშანოვის ყველაზე ლამაზი პარტია.

დამანახიათებელი მდგომარეობა, რომელშიც მთავარია მეფე იერიშის დასწრებით საკითხი. ამ შემთხვევაში თერთობი უფრო მოქნილად თამაშობენ და ეფულებიან ინიციატივას. 19. კვ3 (მუქარით f4-f5) 19. ... h4 20. მე2 კდ5 21. ე:დ5! (ტოლუმში ხარისხის შეწირვით ეფულება ცენტრს, რაც იერიშის წარმატების საწინდარია) 21... ed 22. ლd1 ეf8 23. მd4 ლc4 24. მეh1 კენ 25. კf2 ან 26. გნ h5 27. ეf! (ღ:h5 არაფერს არ აძლევდა თერთობს. ახლა კი შავების იფე განსაცდელში ვარდება) 27 ... fe 28. გნ ა4 29. მ: ეf! d4(ერთადერთი დაცვა ღ: h5 წინააღმდეგ) 30. f5. d3 31. კ: ენ (თუ 31. ღ h5, მაშინ de+ მოგებით) 31 ... ხ3 (პოზიცია ძალზე რთულია. თერთობი ერთადერთი სვლებით იგერიებენ ტურებს)

32. cb ან ხ3. ან ლა6 34. კჰ3 d2 35. მ: d8 (და არა ხ5. ღ: h5, ხ5. ... ღ: d3+ 36. მეა2 ე: აბ+ მოგებით მე: აბ და ხა შემდეგაც) 35... ღ: d3+ 36. მეა2 ე: 37. ეh2 ღ: d8 38. f6! გf 39. ღ: h5 ეა7 40. ეh1 ღ: d3 41. ღ: ე: აბ+ 42. ღ: აბ d1 43. ე: d1 ღ: d1 44. ღ: e7 ტაი-მანოვი დანებდა.

## სახალხო დემოკრატიის ძველებში

### მედიები დამსახურებისათვის

ამას წინათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. რეჩეკა აპორტსმენტო დიდ ჯგუფს 1957 წლის სეზონში „შესანიშნავი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებისათვის“ გადასცა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალები.

ოქროს მედალები გადაეცა მოკრივეები ზ. პეტრევიჩიკი და კ. პაპიანოვი, ფეხბურთელები — გ. ცხელიკა და ე. შინკოვიჩი, მოფლორე ჩემპიონს ესპარტოზო ფარაკობაში ე. პავლოვსკის. აღსანიშნავია, რომ ვერპას ჩემპიონმა კრეში ზ. პეტრევიჩიკს შეიუღლ მოიპოვა ოქროს მედალი. ვერცხლის მედალები გადაეცა 11 სპორტსმენს, ბრინჯაოთი — 26.

### უნგრელები მეგობრთა საჩუქარი

უნგრეთის რესპუბლიკის სპორტსმენები თავს საპოთა მეგობრებს წმირად უგზავნიან წიგნებს, ეურხალებსა და გაზეთებს ფიზკულტურასა და სპორტზე.

ამას წინათ უნგრეთის სეჩენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ საპოთა კავშირში გამოგზავნა „მეცნიერული რჩევა-დარიგებანი ფიზკულტურულ საკითხებზე“, რომლებიც გამოცემულია უნგრულ ენაზე. წიგნი იხსნება მეცნიერული სამუშაოს თავმჯდომარის, კომიტეტის პრეზიდენტის, ლაურეატის და სპორტის კ. ლოშაკის სახელით. წიგნიც მოთავსებულია ფ. ხევის სტატია, სადაც განმარტებულია მეცნიერული სამუშაოს როლი მასობრივი სპორტის, ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის განვითარების საკითხებზე. ავტორი მოგვითხრობს აგრეთვე სპორტსმენობაში და ინვენტარის მშენებლობაში ახალი პრინციპების შესახებ.

მედაგაგაურ მეცნიერებათა კანდიდატი ვა. ფალდში წერს უნგრეთის მუშათა სპორტული მოძრაობის შესახებ 1919 წელს. ექიმი ი. ჩინაძე, ფიზკულტურის ისტორიკოსები მ. გელენი და ვ. სეჩაკი არიან კოლექტიური შრომის „ქალთა და ვაჟთა სპორტული მალწევების შედარებით ანალიზის“ ავტორები. წიგნი შეიცავს აგრეთვე სხვა საინტერესო შრომებს, მდიდარია ილუსტრაციებით, სქემებით და დაგრაფებით.



## სპორტი

„მოძრაობას, როგორც ასეთს, მხოლოდ შეცვალს წამლთ მკურნალობის რომელიც გნებავთ საშუალება, მაგრამ წამლთ მკურნალობის ყველა საშუალებას როდი შეუძლია შეცვალოს მოძრაობის ძალეები“ — ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წერდა დიდი ფრანგი კლინიკისტი ტისო.

და აი, ამ მოსაზრების პრაქტიკული დადასტურება: ჩვენს წინა სტეპი რეველი, რომელმაც ათასობით ავადმყოფი აძლევს პასუხს კითხვებზე — „რა მომცა მე სამკურნალო ფიზკულტურა?“.

„ხერხული. სისტემის მძიმე ამოღობით ჩამოვედი მე გარის ერთობი სახატორიუმში — „უოკეპარაში“, — წერს კარევილი ვ. შვეციკოვი, — ჩამოსვლამდე მთელი თვე ვმკურნალობდი სტაციონარში, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა თითქმის უცვლელი იყო. სანატორიუმში მკურნალობის ერთი თვის შემდეგ მნიშვნელოვნად უკეთ ვგრძნობ თავს, რაც ყოველდღიური გიმნასტიკური ვარჯიშის შედეგია. რაც მთავარია, ამ ვარჯიშებშია შემდეგ ისეთი წყნარი და მხნე თვითგაწინობა შემქმნა, როგორც არ ვიღირებდიარ უკეთ მთელი ოცი წლის განმავლობაში“.

ასეთ ჩანაწერებს უამრავს ნახავთ ხსენებულ სურნალში, ხოლო ამას წინათ აქ, სანატორიუმ „უოკეპარაში“, ასეთი შინაარსის წერილი მიიღეს:

პატივცემული ამხანაგებო! თქვენი მუშაობის პრაქტიკით თქვენ ამსხვრევთ კონსერვატორულ შეხედულებას იმის შესახებ, თითქოს ფიზიკური კულტურა სასარგებლო და აუცილებელია მხოლოდ ახალგაზრდებისათვის. ვატარებდი რა თქვენი ხელმძღვანელობით ყოველდღიურ ვარჯიშებს, მე საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, თუ რამდენად კეთილისმყოფლად მოქმედებს სამკურნალო ფიზკულტურა ადამიანის სწრაფი თვითგაწინობაზე. მე გამოუმჯობესდა სუნთქვა, ადგილი აღიარებდა გულის ცემის შეჩერებას, ხელის ვივრძინი დიდი ხნით დაკარგული მინეობა და სიხალისე“.

წერილს ხელს აწერს საბჭოთა კავ-

შირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი

წევრი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი პოგულოვა-ბალაბუხა. სამკურნალო ფიზკულტურამ საბჭოთა კავშირის კურორტებზე, კერძოდ, გაგრაში ჯერ კიდევ 35 წლის წინათ დაიწყო ფეხის ადგმა, მაგრამ მისი ხამდევალ, მკვლარ მეცნიერულ საფუძველზე გასულა მხოლოდ 1950 წლიდან დაიწყო, პავლოვის შემკვიდრობის ათვისებისას მძიმედაა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესიის შემდეგ.

სწორედ ამ პეროლში, პირველად მთელ ჩვენს ქვეყანაში, გაგრის კურორტზე შეიმჩნა სამკურნალო ფიზკულტურის პირველი მეთოდური კაბინეტი და პრაქტიკულად, გვემანობიერდ და ფართოდ გაიშალა მშრომელთა გაჯანსაღება-განკურებისათვის გამიხული ფიზკულტურულ-სამკურნალო მუშაობა.

სამკურნალო ფიზკულტურა სხვადასხვა ფორმით გამოიყენება: დღის პიკინური ტანვარჯიში, სპეციალური პროცედურები და სამკურნალო ფიზკულტურის გაკეთებები, სპორტული თამაშები (ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, რიკობა, კრიკეტი, კვლის, დოზირებული სიარული, ნიჩბოსნობა, გასეირნება და ექსკურსიები ქვეითად, ბანაობა და ტურა.

ყველა ზემოაღნიშნული ეფექტური შედეგი, რაც ექიმ-სპეციალისტთა მიერ ამ ფორმთა მკაცრი დოზირების საფუძველზე იქნა მიღებული, აისხნება ავადმყოფის ორგანიზმზე სამკურნალო ფიზკულტურის კეთილისმყოფელი გავლენით, მისი აქტიური რეეიშის პირობებში ჩაყენებით. აქტიური რეეიში, რომელიც ითვალისწინებს სუფთა ჰაერის, მზის და წყლის მაქსიმალურ გამოყენებას და ხორციელდება ექსკურსიებით, სპორტული თამაშობებით და პიკინური ტანვარჯიშით, ხელს უწყობს მრავალგვარი პირობით-რეფექტორული კავშირების დამყარებას ცენტრალურ ნერვულ სისტემას, მამობრავებელ აპარატსა და შინაგან ორ-

## ჯანმრთელობის გუზაბი

განობებს შორის, რის მეოხებითაც უმჯობესდება გულისსლქარდვთა, ნერვული და სხვა სისტემების მოქმედება, იზრდება ორგანიზმის შეგუებას უნარი მზარდი ფიზიკური დატვირთვისადმი.

დღეს-დღეობით გაგრის უდიდესი სახატორიუმის „უოკეპარას“ ბაზაზე შექმნილი სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდკაბინეტის საქმიანობა ფართოდაა გაშლილი და უკვე კურორტის სანატორიუმების მთელ ქსელს მოიცავს. გარდა პრაქტიკულ-მკურნალობითი ხაიათის მუშაობისა, მეთოდკაბინეტის მუშაებში სამკურნალო ფიზკულტურის ფართო პროპაგანდისტულ-მეცნიერულ მუშაობასაც ეწევიან. ჯერ კიდევ 1951 წელს აფხაზეთის რესპუბლიკურ საექიმო-ფიზკულტურულ დიპანსერში გულდასმით დამუშავდა „სანატორიული ავადმყოფების ფიზიკური მოძრაობის რეეიშები“, მეთოდური წერილები: „სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენების ფორმები და მეთოდები ზღვის სანაპიროზე კლიმატოთერაპიასთან კომპლექსში“, „ფიზკულტურა სანატორიუმებში ხანშემსულ დამსვენებელთათვის“, „ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა სანატორიუმებში“ და ა. შ., დამუშავდა 17 კერძო მეთოდია სხვადასხვა ავადმყოფობი-

სათვის. მართო ამ სტრატეგიების ავტორის მიერ ხუთი წლის განმავლობაში სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში წაკითხულ იქნა 400-მდე ლექცია თემებზე: „ორგანიზმის გაჯანსაღება“, „მრავალწლიანობის პრობლემა და ფიზიკური კულტურა“ და სხვ. სამკურნალო ფიზკულტურის თემაზე ადგილობრივ გაზეთში მეთოდკაბინეტის მუშაკების მიერ გამოქვეყნებულ იქნა წერილები: „ყოველდღიურად ივარჯიშე!“, „სამკურნალო ფიზკულტურა სანატორიულ-კურორტული მკურნალობის კომპლექსში“ და ა. შ.

მეთოდკაბინეტის მუშაობა მსოფლიო კურორტის მსსმტაბებით როლოდ შემოიფარგლება. იგი თავის გამოცდილებას უზიარებს საქართველოა და მოძვე რესპუბლიკების კურორტებსა და ექიმ-სპეციალისტებს. ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე დღით-დღე ვრცელდება სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდკაბინეტთა რიცხვი საბჭოთა კავშირის სხვა კურორტებზეც და სულ უფრო მტკიცედ და ფართოდ დგება ფიზკულტურა და სპორტი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადაზრჯოზე.

### 3. კრიკორიანი,

კურორტ გაგრის უფროსი მედიცინის სამკურნალო ფიზკულტურაში,

# გასული სეზონის უპირატესი სპორტსმენები

ბერლინი. გაზეთ „იუნგე ველტის“ რედაქციამ ჩაატარა ტრადიციული სახალწლო კონკურსი გერმანიის უძლიერესი სპორტსმენის სახელზე 1957 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ველოსიპედისტმა გუსტავ ადოლფ შურმა. იგი მეხუთე წელია, რაც რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენის სახელს იხვეჭს. 56.309 მკითხველიდან შურს მისცა ხმა 24.470 კაცმა.

მეორე ადგილი კონკურსში დაიკავა მოთხილამურე ჰელმუტ რენაველმა — 6.740 ხმა. მესამე მკითხველს ადგილებზე ირიან ფეხბურთელები კურტ ცაფი და ვილი ტრეგერი.

სპორტსმენ ქალთა შორის პირველი ადგილი კონკურსში დაიკავა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მძლეოსანმა გაზელა ბირკემაიერ-კელერმა, რომელმაც დააგროვა 3.405 ქულა. იგი ამავე დროს აბსოლუტურად მე-5 შედეგია.

გაზელა კელერს გადაეცემა კინოსტრუქტორი დედის თასი, ხოლო გუსტავ ადოლფ შურს — გაზეთ „იუნგე ველტის“ ჯილდო.

**ბელგარი.** ასეთივე სახის კონკურსი მთავრდა გაზეთ „სპორტის“ რედაქციამ. კონკურსში პირველ ადგილზე გამოვიდა ფ. მიხალიჩი (მძლეოსანი). მომდევნო ადგილებზე არიან იაკოვლევიჩი (კრივი), გლაგორიჩი (ქადრავი), ლორავი (მძლეოსანი), კაჩიჩი (წყალბურთი), მილუტინოვიჩი (ფეხბურთი), ნ. შარიჩი (კრივი), ბეჯავი (მძლეოსანი), კრესტინი (ფეხბურთი), მარკოვიჩი (ჩოგბურთი).


**ბელგარია.** ფანეთის საუკეთესო სპორტსმენის სახელზე ვასილი წლის შედეგების მიხედვით მიყვთვანა მძლეოსანს, საშუალო მანძილებზე მორბენალს ოლავა ვუორისა-ლა. უნდა ითქვას, რომ უძლიერესთა სიაში ფართოდ არიან წარმოდგენილი მძლეოსნები. ასე მაგალითად მეორე ადგილი კონკურსში დაიკავა სარგაძე მხტომელმა ი. ვალკამბე, მე-5 ადგილი ო. სალონმა (საშუალო მანძილებზე მორბენალი), მე-6 ადგილი — ვ. ხელსტენმა (რბენა 400 მეტრზე), ხოლო 7 ადგილი — ო. სალონმა (საშუალო მანძილებზე რბენა).

**ბულგარეთი.** გაზეთ „ნებ შპორტი“ მიერ ჩატარებულ კონკურსში ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა ფარეკობაში ახალგაზრდა ვ. ვიულემა. მეორე ადგილზეა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მაგარის ჩოგბურთელი ზ. ბერცი. მესამე ადგილი მიეკუთვნა მძლეოსან მ. საბოს, მეოთხე — გროსმარტერ ლ. საბოს, მეხუთე — მძლეოსან ი. როკეველდის.

## მაყურებელთა სიცილ-ხარხარში

როგორც კი ადამიანი გამოიგონა ავტომანქანა და ქარხნის კონვეიერიდან გადმოვიდა იმდროინდელ ავტომანქანათა პირველი სერია, დაიწყო ბრძოლა სისწრაფისათვის.

ვისაც უნახავს თანამედროვე სპორტული მანქანები, რომლებიც საშინელი სისწრაფით ნთქავენ მანძილს ავტოდრომის ბეტონირებულ ტრეკზე, ან სპეციალურ გზატკე-



## იყო თუ არა ეს „თოვლის აღმზიანი“

ჩვენი გაზეთის 19 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო „კომსოლოვსკაია პრავდას“ კორესპონდენტის საუბარი ლენინგრადის უნივერსიტეტის გეოგრაფიულ სამეცნიერო-საეკვლავი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუსეა ა. გ. პრონიანთან, რომელმაც საკუთარი თვლით ნახა პამირში „თოვლის აღმზიანი“.

ამ საკითხით დაინტერესდა „იხვესტიაც“, რომლის კორესპონდენტი აგრეთვე ეწვია პამირის პიროლო-გური ექსპედიციის ჯგუფის ხელძღვანელს ა. პრონიანს.

აი რა განაცხადა ა. პრონიანმა „იხვესტიას“ კორესპონდენტთან საუბარში:

— „კომსოლოვსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ მე მრავალი დაინტერესებული პირივინა მომმართავს შეკითხვით. და ეს გასაკვირია. მართალია, შემეძლო თუ არა მე 500 მეტრის მანძილზე გამეჩვიო იყო ეს სწორედ „თოვლის აღმზიანი“ ან როგორც მას უწოდებენ გალუბ-იანა თუ რაიმე სხვა ცოცხალი არსება? რა თქმა უნდა, არა! მე შორს ვარ კატეგორიული მტკიცებისაგან. მე მოყვები მხოლოდ ფაქტის შესახებ და მეტი არაფერი. ამასთან წერილში დაშვებული ზოგიერთი არაზუსტობა ჩემს სიტყვებს სხვაგვარ ელფერს აძლევს.

როგორ იყო საქმე? 11 აგვისტოს ფედერაციის ყინვარის კადრზე შევარჩიე ადგილი ბანაკისათვის და გავვაზავე ჩემი თანამშრომლები ცხენებით დასახლებულ პუნქტს ალტინ-მარში და მარტო დავრჩი. სწორედ წყალდიდობა იყო და საშუალო როგორც პიროლოვს საკმარისზე მეტი მქონდა. 12 აგვისტოს შუადღისას, როცა ვაწარმოებდი მდინარე ბალიანდისკენ ველის გამოკვლევას, შევამჩნიე საყურადღებო

ბო სურათი. ველის სამხრეთით, ჩემგან დაახლოებით 500 მეტრის მანძილზე, მრავალი წლის განმავლობაში დატყენილ თოვლზე მოძრაობდა საოცარი შესახედაობის არსება, რომელიც ადამიანის ფიგურა მოგაგონებდა, მაგრამ ძლიერად იყო წელში მოხრილი. თეთრ ფონზე გარკვევით ჩანდა, რომ იგი განვირად აღვამა ფეხებს, ხოლო ხელები გაცილებით უფრო გრძელი ჰქონდა ვიდრე ადამიანს. მე გაუნძრევლად ვიდექი. ასე გავიდა ხუთი-ოთხი წუთი. ფიგურა მიეფარა კლდეს.

სამი დღის შემდეგ ამავე ადგილას ვერ უნდებოდა მზის ჩასვლის შემდეგ და კვლავ ვნახე ნაცნობი ფიგურა. გრძელდებოდა ეს მეტად მცირე ხანს, ვინაიდან იგი აულ მალე დაიშალა. შეიძლება გამოქვაბულში.

ერთი კვირის შემდეგ მოიტანეს მოწყობილობა, ჩამოვიდნენ ექსპედიციის წევრები. არე-მარე ახმინდა. საექსპედიციო გამოქვაბული ჩვეულებისამებრ მიმდინარეობდა და საოცარი შეხვედრა დავიწყებავა მეცა. მაგრამ აი სწორედ გამოგზავრების წინ მდინარის ნაპირიდან მოულოდნელად გაქრა ჩვენი რუხინის ხავი. ბევრი ვეძებეთ იგი, მაგრამ უშედეგოდ და იძულებული ვიყავით შევრიგებოდით დანაპირს. მხოლოდ ჩვენი გამგზავრების ერთი თვის შემდეგ ლენინგრადში მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ უხუბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სადგურის თანამშრომლებმა, რომლებიც ჩვენი ბანაკის ახლოს იმყოფებოდნენ, იპოვეს ნავი დაქარგვის ადგილიდან 5 კილომეტრის დაშორებით, მდინარის საწინააღმდეგო მხარეს, მაღლა, იგი სრულიადაც არ იყო დაზიანებული. როგორ შეიძლება და მოხვედრილიყო ნავი იქ? ნავით გაცურვა ზევითკენ მთის მდინარეზე, რომელსაც აუარებელი წყალვარდნილი და მორევი აქვს, ყოვლად შეუძლებელია.

უნდა აღვნიშნო, რომ მე არაერთხელ შევეკითხებოდი ადგილობრივ მცხოვრებლებს — ყირგიზებს იმის შესახებ, უნახავთ თუ არა მათ კლდეებში ადამიანის მგვარი საოცარი არსება. ზოგიერთნი დადებითად მპასუხობდნენ. ამბობდნენ, რომ ამ არსებას თითქოს უყვარს

მარტრის ლოკოკინათა რბოლა, სადაც სტარტზე გამოჰყავთ 1920 წლის მანქანები და ტრაქტორებიც კი.

შვეიცარიის ჩატარდა რბოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ... გასული საუკუნის მარკის მანქანები. ისინი მაყურებელთა სიცილ-ხარხარის ქვეშ ძლივს მიბობლავდნენ ფინიშსაკენ.

სურათზე: რბოლის ტრასაზე ძველი მარკის მანქანა.

„ეცლება“. იყო შემთხვევები, მაგალითად, როცა ზოგიერთს დაეკარგა საოჯახო ნივთები — გობი, ტაშტი, თეთრეულიც კი და მერე ზოგიერთი ჩამ დაქარგულიდან ნაპოვნი იქნა მთაში. იქნებ არის კავშირი ამ ფაქტებთან და ჩვენი ნავის დაქარგვას შორის?

უნდა მოგახსენოთ, რომ მე პიროლოვს ვარ და არ ვაპირებდი გამეკეთებინა დასკვნები ჩემთვის უცნობ დარგში. ვფიქრობდი დამეცადა ახალი ექსპედიციისათვის და მაშინ დაინტერესებულყავი ამ საქმით. მართალია, მე მქონდა ლაპარაკი ერთ ლენინგრადელ სპეციალისტთან, მაგრამ ისიც სავარაუდოდ.

მე მეუბნებიან: რატომ არ ახვედრით იქ, სადაც დადიოდა ადამიანის



**© რომი.** იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აცნობოს 1960 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ იტალიელი სპორტსმენები მონაწილეობან მიიღებენ სკვა-ველის ოლიმპიადში.

**© ადელბოლენი** (შვეიცარია). აქ გადაწყდა მოეწყოს მეტად საინტერესო შეჯიბრება სლალომში. მთის ფერდობზე ერთმანეთის პარალელურად მოეწყობა ორი ტრასა — ორივე ერთნაირი დაქანებით, პროფილით, კარების რაოდენობითა და განლაგებით.

ორი მოთხილამურე ერთდროულად იღებს სტარტს. მეორე ცდაში ისინი იცვლიან ტრასას. შეჯიბრების მოწყობათა აზრით, ეს გაცილებით უფრო საინტერესოა მაყურებელთათვის.

**© მელბურნი.** XVI ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელმა ჩარლზ პორტერმა სიმალეზე ხტომაში თამასა გადალახა 202 სმ სიმაღლეზე. როგორც იტყობინებოდა, პორტერს არ გაუვლია არავითარი წვრთნა.

**© ახალი ზელანდია.** თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი ბირთვის კვრავი ქალთა შორის დაამყარა ლ. მილსმა. მისი შედეგია 15 მ 03 სმ.

ალმა-ატაში დამთავრდა ყაზახეთის პირველი საკონკურსო რბენა. გაზეთ „სპორტის“ რედაქციის პირველი ადგილი დაიკავა ალმა-ატელმა ი. ნაზაროვმა, ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა გ. რომანოვა.

სურათზე: გამარჯვებული მოციგურავეები დისტანციაზე. ფოტო ვ. ლოდენკოსი.

მაგარი არსება და არ გამოიყვლით გამოქვაბული, სადაც იგი დაიშალა? ასე მსჯელობა შეუძლიათ მხოლოდ მათ ვინც არ იცნობს პამირს. ფიგურა იმყოფებოდა დიდ სიმალეზე, სრულიად შეუღულ კლდეზე. იქ ასვლა გამოცდილი ალპინისტისათვისაც კი ძნელია.

სხვათაშორის, საცხოვრებელი პირობები ცოცხალი არსებისათვის იმ ადგილებში არის. ამაზე მეტყველებს ბალიანდ კივის ველის სახელწოდება, რომელიც თარგმანში ნიშნავს „მილიონ ჯიხეს“. მილიონი ჯიხის ველზე უხვად მოდის საჭმელი ხაყოფი, მოცივი და სხვ.

— შეიძლება, — დაამატა ა. გ. პრონიანმა, — ეს ცნობა დაინტერესებს სპეციალისტებს და ისინი გამგზავრებიან ადგილზე „თოვლია აღმზიანი“ საქებნელად.

## „სპორტის“ ალიარხობი

შვეიცარიულმა გაზეთმა „შპორტ-მა“, რომელიც ციურისში გამოდის, ამას წინათ გამოაქვეყნა მსოფლიოს 10-10 უძლიერესი ძალის სია 7 წონით კატეგორიაში.

საქმარისია აღინიშნოს, რომ 7 წონით კატეგორიის 70 ადგილიდან მასკანეთა სპორტსმენები ცხრილებში მონაწილეობს არაიან 36-ჯერ, ხოლო აშშ-ს ძალის სიაში 19-ჯერ და მეორე ადგილზე იმყოფებიან.

მსოფლიოს ათ უძლიერეს ძალის სიაში შორის თეთრეულ წონით კატეგორიაში საბჭოთა სპორტსმენებს უკავიათ შემდეგი ადგილები. მჩატე წონაში — 5 ადგილი (აშშ-ს წარმომადგენლებს 1 ადგილი), ქვემსუბუქ წონაში — 3 ადგილი (ამერიკელებს 1), მსუბუქ წონაში — 8 (ამერიკელებს 2), ქვესაშუალო წონაში — 5 (ამერიკელებს 4), საშუალოში — 8 (ამერიკელებს 2), ქვემძიმეში — 4 (ამერიკელებს 5) მძიმეში — 3 (ამერიკელებს 4).

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოყვანილ შედეგთა უმეტესობა ნაჩვენებია იყო უკანასკნელ წლებში. გამონაკლის შეადგენა მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენი. ესენია: სუი ნამის (კორეა) მიერ 1939 წელს ქვემსუბუქ წონაში ნაჩვენებ შედეგი 340 კგ. ა. ტერლაცის (აშშ) მიერ 1940 წელს მსუბუქ წონაში ნაჩვენებ შედეგი 375 კგ. დ. დევსის (აშშ) მიერ 1940 წელს ქვემძიმე წონაში ნაჩვენებ შედეგი 450 კგ და გ. ნოვაკის (საბჭოთა კავშირი) მიერ 1941 წელს ქვესაშუალო წონაში ნაჩვენებ 400 კგ.

## ა. პილარი ანგარიხი

ცნობილი ალპინისტი, ახალზელანდიელი მეფეტურე ე. პილარი, რომელმაც 1953 წლის 29 მაისს ნებალულ თენსინგ ნორკისთან ერთად პირველად შედგა ფეხი მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჩომოლუნგმასზე (ევერესტი), ამჟამად ექსპედიციასთან ერთად იმყოფება ანტარქტიდაში.

ექსპედიციის მიზანია ანტარქტიდის დალაშქვრა სამხრეთ პოლუსის გავლით.

რედაქტორი ი. უშულავა